EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

დიდი პალატა

კარიმი საფრანგეთის წინააღმდეგ

(განაცხადი N 7189/21)

სამართლებრივი შეჯამება

არაოფიციალური თარგმანი
მომზადებულია თბილისის სააპელაციო სასამართლოს
თავმჯდომარის ბიუროს და ანალიტიკური სამსახურის მიერ.

სტრასბურგი

9 აპრილი, 2024 წელი

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

კარიმი საფრანგეთის წინააღმდეგ (Carême v. France)
განაცხადი 7189/21
გადაწყვეტილება
09.04.2024 წელი
დიდი პალატა

35-ე მუხლი
35-3-a მუხლი

Ratione personae

გრანდ-სინთის მუნიციპალიტეტის ყოფილი მერის საჩივარი საფრანგეთის მხრიდან კლიმატის ცვლილების თავიდან ასაცილებლად არასაკმარისი ქმედებების განხორციელების შესახებ: დაუშვებელია (შეუთავსებელი *ratione personae*).

ფაქტობრივი გარემოებები

2018 წლის ნოემბერში განმცხადებელმა, მოქმედებდა რა თავისი სახელითა და გრანდ-სინთის მუნიციპალიტეტის მერის უფლებამოსილების ფარგლებში, მიმართა რესპუბლიკის პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრსა და ეკოლოგიური გარდაქმნისა და სოლიდარობის მინისტრს, რომ მათ მიეღოთ ყველა შესაძლო ზომა სასათბურე გაზის (GHG) ემისიების შესამცირებლად საფრანგეთის ტერიტორიაზე, რათა თანხვედრაში მოსულიყვნენ სახელმწიფოს ვალდებულებებთან ამ საკითხში; რომ მიეღოთ ყველა აუცილებელი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ინიციატივა, რათა „სავალდებულო გამხდარიყო კლიმატის საკითხებისთვის პრიორიტეტის მინიჭება“; რომ აიკრძალოს ყველა ის ქმედება, რომელმაც შესაძლოა გაზარდოს GHG ემისიები; და რომ საფრანგეთში დაინერგოს კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის დაუყოვნებლივი ზომები. ხელისუფლების მხრიდან ადრესატის უპასუხოდ დატოვების გამო, 2019 წლის იანვარში განმცხადებელმა, იმავე უფლებამოსილების ფარგლებში, მიმართა სახელმწიფო საბჭოს (Conseil d'État) უმოქმედობით ნათქვამი უარის სამართლებრივი შეფასებისათვის, რაც ხელისუფლების მხრიდან გამოიხატა თხოვნაზე პასუხგაუცემლობით.

2020 წლის ნოემბერში სახელმწიფო საბჭომ განმარტა, რომ განმცხადებელს ვერ ექნებოდა ინტერესი დავის დაწყებისა მხოლოდ და მხოლოდ იმ მიზეზით, რომ მისი ამჟამინდელი საცხოვრებელი მდებარეობდა იმ ადგილას, რომელიც შესაძლოა დაიტბოროს 2040 წლისთვის. ეს დასკვნა ეყრდნობოდა საჯარო მომხსენებლის დასკვნებს, რომელთა თანახმად, არ არსებობდა არავითარი მითითება იმაზე, თუ სად იქნება განმცხადებლის საცხოვრებელი ადგილი უახლოეს წლებში, რომ აღარაფერი ვთქვათ ოცი და მეტი წლის შემდეგ, რის გამოც მისი პირადი ინტერესის შელახვის შესაძლებლობა ზედმეტად არადამაჯერებლად გამოიყურებოდა. თუმცა, სასამართლომ განმარტა, რომ მუნიციპალიტეტს ჰქონდა ამგვარი ინტერესი, მასზე ზემოქმედების მაღალი რისკის გათვალისწინებით, რომელიც წარმოიშობოდა კლიმატის ცვლილების ფენომენის არსებობით, და აგრეთვე მისი პირდაპირი და გარკვეული ზემოქმედებით იმ მდგომარეობასა და ინტერესებზე, რომლებზეც მუნიციპალიტეტი იყო პასუხისმგებელი.

2021 წლის ივლისში სახელმწიფო საბჭომ გააუქმა ხელისუფლების უმოქმედობით ნათქვამი უარი მუნიციპალიტეტის თხოვნაზე, იმ განმარტებით, რომ GHG ემისიების შემცირება 2019 წელს იყო დაბალი, ხოლო 2020 წელს - არასაკმარისი. მან ასევე მიუთითა,

რომ ჩამოყალიბებული მიმართულებისთვის ფეხის აწყობა, რაც გულისხმობს ემისიების შემცირების სამიზნე ნიშნულების 1990 წლის ნიშნულებთან შედარებით 2030 წლისათვის 40%-ით შემცირებას და 2005 წლის ნიშნულებთან შედარებით - 37%-ით შემცირებას, შეუძლებელი იქნებოდა, თუკი ახალი ღონისძიებები უმალ არ იქნებოდა დანერგილი. მან ბრძანა, რომ ხელისუფლებას უნდა მიეღო დამატებითი ზომები 2022 წლის მარტის ბოლოსთვის, რათა მიღწეულიყო GHG ემისიების შემცირების სამიზნე ნიშნულები, რომლებიც დადგენილია ენერგეტიკის კოდექსის L. 100-4 მუხლითა და 2018/842 რეგულაციის (ევროკავშირი) დანართი I-ით. სახელმწიფო საბჭომ დაავალა დამატებითი ზომების მიღება 2023 წელს, მას შემდეგ, რაც მუნიციპალიტეტმა არ აღასრულა 2021 წლის გადაწყვეტილება.

ამასობაში, 2019 წლის მაისში, განმცხადებელი არჩეული იქნა ევროპულ პარლამენტში და იგი გრანდ-სინთიდან ბრიუსელში გადასახლდა.

კონვენციის მე-2 და მე-8 მუხლებზე დაყრდნობით, განმცხადებელი აპელირებდა, რომ საფრანგეთმა არ გადადგა სათანადო ნაბიჯები კლიმატის ცვლილების თავიდან ასაცილებლად და რომ ეს წარუმატებლობა არღვევდა მისი სიცოცხლის უფლებას და მისი პირადი და ოჯახური ცხოვრებისა და საცხოვრებლის პატივისცემის უფლებას, რაც გულისხმობდა, კონკრეტულად კლიმატური ცვლილებით გამოწვეული წყალდიდობის რისკს, რის წინაშეც დადგებოდა გრანდ-სინთის მუნიციპალიტეტი 2030-2040 წლების პერიოდში.

2020 წლის 31 მაისს სასამართლოს პალატამ საქმის განხილვის განსჯადობა დათმო დიდი პალატის სასარგებლოდ.

სამართლებრივი შეფასება

სასამართლომ მიუთითა ფიზიკური პირების მსხვერპლის სტატუსთან დაკავშირებით 34-ე მუხლის საფუძველზე არსებულ ზოგად პრინციპებზე, კლიმატის ცვლილებასთან მიმართებით მე-2 და მე-8 მუხლების საფუძველზე წარმოდგენილი საჩივრების კონტექსტში, რაც მოცემულია საქმეში *Verein KlimaSeniorinnen Schweiz და სხვები შვეიცარიის წინააღმდეგ* (დიდი პალატა) (Verein KlimaSeniorinnen Schweiz and Others v. Switzerland [GC]). მითითებულ გადაწყვეტილებაში გამოკვეთილი მსხვერპლის სტატუსის ძირითადი ასპექტების მხედველობაში მიღებითა და აგრეთვე, ეროვნულ დონეზე ჩატარებული სამართალწარმოების გათვალისწინებით, სასამართლომ ვერ იპოვა მიზეზი, რათა ეჭვქვეშ დაეყენებინა ჰიპოთეზური ბუნება იმ რისკისა, რომელიც კლიმატის ცვლილებით განმცხადებელს წარმოეშობოდა, როგორც ნათქვამია სახელმწიფო საბჭოს მიერ. მეტიც, განმცხადებელი, იმჟამად არ ცხოვრობდა საფრანგეთში და არ ჰქონდა მნიშვნელოვანი კავშირი გრანდ-სინთთან: მას შემდეგ, რაც ის გახდა ევროპის პარლამენტის წევრი, იგი გადასახლდა ბრიუსელში; მის საკუთრებაში არ იყო და მას აღარც დაქირავებული აქვს რაიმე უძრავი ქონება გრანდ-სინთში და მისი ერთადერთი კონკრეტული კავშირი ამ მუნიციპალიტეტთან იყო ის, რომ მისი ძმა იქ ცხოვრობდა. იმის გამო, რომ არ არსებობს სხვაზე დამოკიდებულების დამატებითი ელემენტები, მე-8 მუხლის ოჯახური ცხოვრების ასპექტი ვერ იქნება მისადაგებული.

ამდენად, მას ვერ ექნებოდა პრეტენზია მსხვერპლის სტატუსზე 34-ე მუხლის შესაბამისად, გათვალისწინებით სავარაუდო რისკებისა, რომლებიც დაკავშირებულია კლიმატის ცვლილებასთან და საფრთხეს უქმნის ამ მუნიციპალიტეტს მე-8 მუხლის ნებისმიერი,

პოტენციურად მნიშვნელოვანი, ასპექტის მიზნებისათვის (პირადი ცხოვრება, ოჯახური ცხოვრება ან საცხოვრებელი). ეს მიდგომა სწორი იყო, მიუხედავად განმცხადებლის მითითებებისა, რომ ის ფლობდა მუნიციპალიტეტის მოქალაქის თუ ყოფილი მაცხოვრებლის სტატუსს. იგივე მოსაზრება იქნა გამოყენებული მე-2 მუხლთან დაკავშირებულ საჩივარზე.

წინააღმდეგ შემთხვევაში და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ თითქმის ნებისმიერ ადამიანს ექნებოდა ლეგიტიმური მიზეზი, რომ განეცადათ მომავალში კლიმატის ცვლილებით გამოწვეულ არასასიკეთო შედეგებთან დაკავშირებული რაიმე სახის შფოთი, რთული იქნებოდა *actio popularis* დაცვის განსხვავება (რომელიც არ არის დასაშვები კონვენციის სისტემაში) იმ სიტუაციისგან, როდესაც არსებობდა მწვავე საჭიროება, რომ უზრუნველყოფილი ყოფილიყო განმცხადებლის ინდივიდუალური დაცვა იმ ზიანისგან, რომელიც კლიმატის ცვლილების გზით გავლენას მოახდენდა კონკრეტული პირის მიერ ადამიანის უფლებებით სარგებლობაზე.

მეტიც, განმცხადებელს არ ჰქონდა უფლება, მიემართა ევროპული სასამართლოსთვის ან წარედგინა საჩივარი გრანდ-სინთის მუნიციპალიტეტის სახელით. გარდა იმ ფაქტისა, რომ იგი აღარ იყო მერი, სასამართლოს კარგად განვითარებული პრაქტიკის თანახმად, დეცენტრალიზებული სახელისუფლებო ორგანო - რომელიც ახორციელებს საჯარო ფუნქციებს, მიუხედავად ცენტრალურ ორგანოებთან მიმართებით მისი ავტონომიისა (რაც მოიცავს რეგიონულ და ადგილობრივ ხელისუფლებას, მათ შორის მუნიციპალიტეტებს) - ითვლება „სახელმწიფო ორგანოდ“, რომელსაც ვერ ექნება ევროპულ სასამართლოში საჩივრის წარდგენის უფლება, კონვენციის 34-ე მუხლის შესაბამისად.

ზემოაღნიშნული დასკვნების მიუხედავად, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა, რომ გრანდ-სინთის მაცხოვრებლების ინტერესები, ნებისმიერ შემთხვევაში, სახელმწიფო საბჭოს წინაშე დაიცვა მათმა მუნიციპალიტეტმა, ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად.

ამდენად, განმცხადებლის საჩივარი იყო დაუშვებელი, რამდენადაც ის იყო *ratione personae* შეუთავსებელი კონვენციის დებულებებთან, 35(3) მუხლის მიზნებისთვის.

დასკვნა: დაუშვებელი (შეუთავსებელია *ratione personae*) (ერთხმად).

(აგრეთვე იხილეთ: Verein KlimaSeniorinnen Schweiz და სხვები შვეიცარიის წინააღმდეგ (დიდი პალატა), განაცხადი 53600/20, 2024 წლის 9 აპრილი, სამართლებრივი შეჯამება; 2018 წლის 30 მაისის, ევროპალამენტისა და ევროსაბჭოს რეგულაცია 2018/842 Annex I, რომელიც ავალდებულებს სასათბურე გაზების ემისიების ყოველწლიურად შემცირებას წევრს სახელმწიფოებს, 2021 წლიდან 2030 წლამდე პერიოდში, კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლაში წვლილის შესატანად, რათა შესრულდეს პარიზის შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებები).